ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:

- ☐ დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა
- ☐ საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა
- ■ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა
- ☐ პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ☐ მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ■ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: იანინა გიგიბერია
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: მიხეილ სამხარაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

II. დაწესებულების მისია

ჩვენი შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიის მისიას განვიხილავთ ორ ასპექტში. კერძოდ, პირველი – ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების, მეორე - სასწავლებლის, როგორც კონკრეტული საგანმანათლებლო დაწესებულების ასპექტში.

ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებიდან გამომდინარე სასწავლებლის მისიაა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას, მათ ცნობიერებაში დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების, მაღალი ზნეობრივი სულისკვეთების ჩამოყალიბებას.

სასწავლებლის, როგორც კონკრეტული საგანმანათლებლო დაწესებულების მისიაა: ქვეყნის ღირსეული მოქალაქის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი კონკრეტული პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის მოსწავლეებში (პროფესიულ სტუდენტებში) იმ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რომელიც მათ საშუალებას მისცემს მის მიერ არჩეულ პროფესიულ გარემოში ადაპტაციას, დამკვიდრებას და შემდგომ განვითარებას. აგრეთვე, იმ კადრების გამოშვების უზრუნველყოფას, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან დასაქმების ბაზარზე, იქნებიან კონკურენტუნარიანი და მაღალი კვალიფიკაციის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი სასწავლებლის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად ჩამოყალიბდა ერთი იურიდიული პირის ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ინტეგრაციის მიმართულება. ამის საფუძველს ქმნის ზოგადი და პროფესიული განათლების საკანონმდებლო ბაზა, რაც ფაქტობრივად, ამ ეტაპზე, წარმოადგენს მნიშვნელოვან საგანმანთლებლო ნოვაციას.

ჩვენი სასწავლებელი, როგორც თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების მიმართ ნოვატორულად განწყობილი და ცვლილებებისადმი მზად მყოფი დაწესებულება, თავის უპირველეს მოვალეობად თვლის ყველა პირობის შექმნას იმისთვის, რომ ზოგადი და პროფესიული განათლების ინტეგრაციის პირობებში, მომავალმა თაობამ მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი ინტელექტუალური პოტენციალი, იქცეს მაღალი მოქალაქეობრივი და ეროვნული თვითშეგნების მქონე კონკურენტუნარიან პროფესიონალთა თაობად. აგრეთვე, ჩვენი საქმიანობის განუყოფელი ნაწილი იყო და რჩება აქტიური ურთიერთობების დამყარება არასამთავრობო (უპირველეს ყოვლისა დამსაქმებელ) ორგანიზაციებთან, არჩეული პროფილის შესაბამისად სამეურნეო სუბიექტებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ამრიგად, საგანმანათლებლო პროცესის მუდმივი განახლება, მისი ხარისხის ამაღლება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სისტემატური სრულყოფა, მაღალკვალიფიციურ პედაგოგთა კადრების მოზიდვა, მათი პროფესიული განვითარების ყოველგვარი ხელშეწყობა ის ფაქტორებია, რომლებიც ერთად აღებული, კომპლექსში განაპირობებენ თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი დაწესებულების ფორმირებას.

III. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1. სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

შეფასება:

შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართულმა აკადემიამ წარმოადგინა 2017-2018 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე (04.09.2017, ოქმი N 1) და დამტკიცებულია დირექტორის მიერ (04.09.2017, ბრძანება N2ს-82).
სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე და განსაზღვრავს ამ დოკუმენტით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:

- სკოლის მისია;
- სასკოლო საათობრივი ბადე;
- ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი;
- სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, მათ შორის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა (სკოლაში გამოყენებული ყველა სავალდებულო სახელმძღვანელო გრიფირებულია);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა);
- დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა;
- საგნობრივი კათედრების ჩამონათვალი და ფუნქციები.

სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად სპორტის სახეობად არჩეულია ფეხბურთი, სპორტული ტანვარჯიში, აღმოსავლური ორთაბრძოლები. დამატებითი მომსახურების სახით სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს ინფორმატიკის წრეს.

მისიიდან გამომდინარე, საშუალო საფეხურის (X-XII კლასები) განსახორციელებლად დასახულია შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- შეუქმნას მოსწავლეს სათანადო პირობები საერთაშორისო სტანდარტის მქონე განათლების მისაღებად;
- შეუქმნას მოსწავლეს წინაპირობები იმისათვის, რომ მან სწორად აირჩიოს თავისი მომავალი განვითარების გზა (გააგრძელოს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში, ან ჩაებას შრომით საქმიანობაში).

დასტურდება:

- სასკოლო-სასწავლო გეგმით;
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით (ოქმი N 1; 04.09.2017);
- სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;
- პედაგოგებთან გასაუბრებით.

1.2. სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

შეფასება:

სკოლაში სწავლა მიმდინარეობს მხოლოდ მესამე საფეხურზე (საშუალო საფეხურზე). ფუნქციონირებს 3 საგნობრივი კათედრა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- ქართული ენისა და ლიტერატურის და უცხოური ენის კათედრა;
- მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა;
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდის კათედრა.

კათედრები საგნობრივ ჯგუფებში აერთიანებს ყველა მასწავლებელს. შემუშავებულია კათედრების ხელმძღვანელების მოვალეობები, სამოქმედო გეგმები და პროგრამები. მასწავლებლები აწარმოებენ საქაღალდეებს, რომლებშიც ინახება პირადი მონაცემები, თემატური გეგმები საგნებისა და საფეხურების მიხედვით და სხვა სამუშაო დოკუმენტაცია. თემატური გეგმები შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

პედაგოგთა პორტფოლიოებში წარმოდეგნილია შემაჯამებელი სამუშაოების ნიმუშები, შესაბამისი მიზნებითა და სტანდარტით განსაზღვრული შედეგებით. შესრულებული დავალებების ანალიზის შედეგად გამოკვეთილია ძლიერი და სუსტი მხარეები, შემუშავებულია რეკომენდაციები პრობლემების გადასაჭრელად, დაკონკრეტებულია ის უნარ-ჩვევები, რომელთა განვითარებაზე მუშაობის საჭიროება გამოიკვეთა გაანალიზების შედეგად.

კათედრების პორტფოლიოებში წარმოდგენილია, სხდომის ოქმები, შესრულებული სამუშაოს ანალიზი, ასევე, შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, რაც აძლევს კათედრის წევრებს საშუალებას დაგეგმონ სათანადო აქტივობები ან აიმაღლონ კომპეტენციები.

სკოლას არჩევით საგნად შეთავაზებული აქვს: „მეწარმეობის საფუძვლები“ - X კლასი, „ეკონომიკა და სახელმწიფო“- XI კლასი, „სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა“ - XII კლასის I სემესტრი. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად სპორტის სახეობად არჩეულია ფეხბურთი, სპორტული ტანვარჯიში, აღმოსავლური ორთაბრძოლები. დამატებითი მომსახურების სახით სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს ინფორმატიკის წრეს. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს თითოეულ მოსწავლეს შეიძინოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა და უნარ-ჩვევები.

დაწესებულება მოსწავლეებს სთავაზობს პროფესიულ საგანმანათლებლო მომსახურებას ოთხი პროგრამის ფარგლებში (ბუღალტერი, კრიმინალისტი, ინტერნეტტექნოლოგი (ვებ სპეციალისტი) და ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი. საშუალო საფეხურის მოსწავლეებს აქვთ საშუალება შეღავათიან ფასებში მიიღონ პროფესიული განათლება (სურვილის შემთხვევაში).

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით(ოქმი N 1; 04.09.2017.);
- პედაგოგებთან გასაუბრებით;
- კათედრებისა და მასწავლებლების პორტფოლიოებით.

1.3. სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლისათვის. ამჟამად სკოლაში არ ირიცხება ასეთი მოსწავლე, ამიტომ პროგრამა წარმოდგენილია პროექტის სახით. თუმცა, სკოლა მზად არის სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და განსაზღვროს მოსწავლის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, მიზნის მიღწევის სტრატეგიები და სტრატეგიების განხორციელების მექანიზმები, სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;
- პედაგოგებთან გასაუბრებით.

1.4. სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

შეფასება:

სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მოსწავლეთა შეფასების სისტემა და შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები. კათედრებისა და მასწავლებლების პორტფოლიოებში ინახება კონკრეტულ საგანზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმები და სქემები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია და კათედრების პორტფოლიოებში ასახულია შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.
სკოლას შემუშავებული აქვს გამოცდების დანიშვნის წესი. წლიური გამოცდა X კლასში ჩატარდება ქართული ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში. მითითებულია გამოცდის ჩატარების დრო. ხოლო, XI და XII კლასებში მოსწავლეები აბარებენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ გამოცდებს.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- საგნობრივი კათედრების პორტფოლიოებით;
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშებით;
- პედაგოგებთან გასაუბრებით;
- ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;
- მასწავლებელთა პორტფოლიოებით;
- მშობლებთან გასაუბრებით.

1.5. შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

შეფასება:

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი, რაც უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრებაში მათ ჩართულობას.
ყოველი კვირის ბოლოს, პარასკევს 13:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე, მშობელს უფლება აქვს შეუფერხებლად შემოვიდეს სკოლის ტერიტორიაზე და მიიღოს სრულფასოვანი ინფორმაცია, როგორც დამრიგებლისაგან, ასევე, პედაგოგებისაგან, მისი შვილის აკადემიური მოსწრების, ყოფაქცევის და გაცდენების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში სკოლა აწყობს არაგეგმიურ შეხვედრებს და ღონისძიებებს მოსწავლეთა მშობლებთან.
ადმინისტრაციას შემუშავებული აქვს ყოველთვიური სპეციალური გეგმა, რომელშიც საგნობრივად არის ასახული თითოეული მოსწავლის გაცდენებისა და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც ხელს აწერს დამრიგებელი. აქვე ასახულია კონკრეტული საგნებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

განკუთვნილი საათების წლიური რაოდენობა, საგნის მიმდინარე გაცდენების რაოდენობა და მიმდინარე შეფასებები.
ყველა დამრიგებელი აწარმოებს სადამრიგებლო პორტფოლიოს, სადაც მშობლებთან შეხვედრები ასახულია ოქმის სახით.

დასტურდება:

- შინაგანაწესით;
- სადამრიგებლო პროგრამით;
- დამრიგებლის სამუშაო გეგმით;
- მასწავლებლებთან გასაუბრებით;
- მშობლებთან გასაუბრებით;
- მშობლებთან შეხვედრების ამსახველი ანგარიშებით.

1.6. შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

შეფასება:

სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმი, რომლის სრულფასოვანი ფუნქციონირების მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის განვითარების მენეჯერი.
კათედრების პორტფოლიოებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით შემუშავებულია სასწავლო პროცესისა და გაკვეთილის გეგმის შეფასების რუბრიკები. მიმდინარეობს გაკვეთილებზე დასწრება და შეფასება, ასევე, გაკვეთილის გეგმების შეფასება.
სასწავლო წლის დასაწყისში და სემესტრების ბოლოს მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ ხორციელდება კითხვარების შევსება. მათი ანალიზის შედეგად იკვეთება საჭიროებები, რომლის გათვალისწინებით მიმდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმის განახლება და გაუმჯობესება.

დასტურდება:

- კათედრებისა და კლასის ხელმძღვანელთა ანგარიშებით;
- მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა კითხვარებით;
- მასწავლებლის ურთიერთდასწრების ფორმებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- პედაგოგებთან გასაუბრებით.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი.

შეფასება:

შპს „ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემია“ მდებარეობს ქ. თბილისში, ზაზიაშვილის ქ. N1. სკოლა განთავსებულია ექვსსართულიანი შენობის მეოთხე სართულზე საერთო ფართით 535 კვ.მ. იჯარის/ქირავნობის ხელშეკრულებების თანახმად არსებული ფართი 1 იურიდიული და 2 ფიზიკური პირისგან არის აღებული. 2 ხელშეკრულების თანახმად ფართი გადაცემულია 2020 წლის 28 ოქტომბრის, ხოლო 1 ხელშეკრულების თანახმად 2021 წლის 19 დეკემბრის ჩათვლით. შპს „ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემია“ **(ს/კ 202065068)** სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული სახელით ფუნქციონირებდა (შპს „ლიბერთი -პროფი“, „იეპს-სქული“, „ლიცეუმი პროფესიული კოლეჯი“), თუმცა ხელშეკრულებებში მოხსენიებულ დაწესებულებებს ერთი და იგივე საკადასტრო კოდი **(202065068)** აქვს, რაც ადასტურებს, რომ შპს „ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემია“ მათი სამართალმემკვიდრეა. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ხელშეკრულებების განახლებასთან და ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

1	ქ. თბილისში, ზაზიაშვილის ქ. N1.	535 კვ.მ.

დასტურდება:

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან - საკადასტრო კოდი N 01.16.03.001.004.01.506;
- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან - საკადასტრო კოდი N 01.16.03.001.004.01.502;
- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან - საკადასტრო კოდი N 01.16.03.001.004.01.511;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- შენობა-ნაგებობის შიდა საკადასტრო აზომვითი ნახაზით **(დანართი N1);**
- იჯარის ხელშეკრულებით შპს "ელექტრომაგნიტურ თავსებადობასა და ხელშეშლებზე დაკვირვების სამსახურთან";
- იჯარის ხელშეკრულებით ფიზიკურ პირთან გიორგი ჯანჯღავასთან (პირადი N1008001608);
- იჯარის ხელშეკრულებით ფიზიკურ პირთან მამუკა გურგენიძესთან (პირადი N1015001528).

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

შეფასება:

სკოლაში არის 7 საკლასო ოთახი, 1 ბიბლიოთეკა, 1 სამასწავლებლო, 2 ისტ-ის ოთახი, 2 საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ოთახი, 1 ექთნის ოთახი, 1 დირექტორის კაბინეტი, 1 შეხვედრების ოთახი, 1 კანცელარიის ოთახი, 1 სამასწავლებლო და 1 ბუფეტი.
ვიზუალური დათვალიერების და შესყიდვის არსებული დოკუმენტაციის თანახმად საერთო ჯამში სკოლის მფლობელობაშია 165 ერთადგილიანი და 17 ორადგილიანი მერხი, 226 სკამი, მასწავლებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

მაგიდები და დაფები. საკლასო ოთახებში განთავსებულია 154 ერთადგილიანი მერხი და სკამი, ლაბორატორიებში, ბიბლიოთეკაში, კომპიუტერების ოთახებში, შეხვედრების ოთახში განთავსებულია, ასევე, მაგიდები და სკამები, სხვადასხვა თვალსაჩინოება, პროექტორი, მაგნიტოფონები.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- ჩუქების ხელშეკრულებებით;
- ინვენტარის წიგნით;
- მიღება-ჩაბარების აქტით.

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

შეფასება:

სკოლის შენობაში არ არის სპორტული დარბაზი, თუმცა სკოლას ხელშეკრულება დადებული აქვს ქ. თბილისის მერიის მ. გეგელიას სახელობის ტანვარჯიშის სახეობათა აკრობატიკის
სპორტულ ცენტრთან, რომელიც სკოლასთან ახლოს მდებარეობს (მის: ზაზიაშვილი ქუჩა №14 ჩ.). ხელშეკრულების თანახმად მეიჯარე კისრულობს ვალდებულებას სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად დაუთმოს „მოიჯარეს' სპორტული დარბაზი კვირაში 2(ორი) დღის განმავლობაში (ხუთშაბათი და პარასკევი, დილის 9:00 -დან 15:00 სთ-მდე პერიოდით).

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- იჯარის ხელშეკრულებით (1.03.2017) ქ. თბილისის მერიის მ. გეგელიას სახელობის ტანვარჯიშის სახეობათა აკრობატიკის სპორტულ ცენტრთან.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

სკოლა ფლობს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრულ აღჭურვილობას (ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომია, 208 დასახელება), რომელიც შეძენილია 2012 წელს შპს „ჯეო-დეკორისგან". საბუნებისმეტყველო ლაბორატორია განთავსებულია 2 ოთახში. პირველ ოთახში განთავსებულია ფიზიკის, ხოლო მეორე ოთახში, რომელშიც დამონტაჟებულია ონკანი და არის დიდი ფანჯარა, ქიმია/ბიოლოგიის ლაბორატორიული აღჭურვილობა.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- საბუღალტრო საინვენტარიზაციო დოკუმენტაციით.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. კერძოდ: სკოლაში არსებობს ელექტროენერგიის მიწოდების სისტემა, 2 პისუარი ბიჭებისთვის, 4 სველი წერტილი, მათ შორის 1 სსსმ მოსწავლისთვის არის ადაპტირებული. თითოეულ საკლასო ოთახში არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. გათბობას უზრუნველყოფს ზეთის ელექტრო ღუმელები. სკოლის მფლობელობაშია გენერატორი.

დასტურდება:

- გადახდის ქვითრებით;
- დირექტორის ბრძანებით N2/ს-66 შპს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართულ აკადემიაში;
- ინვენტარიზაციის ჩატარებასთან დაკავშირებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- საბუღალტრო საინვენტარიზაციო დოკუმენტაციით;
- ჩუქების ხელშეკრულებით.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

შეფასება:

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც ფუნქციონირებს დირექტორის მიერ დამტკიცებული დებულებით (ბრძანება N2/ს-41). ბიბლიოთეკაში სამკითხველო და წიგნსაცავი ერთ სივრცეშია მოწყობილი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს 1196 ერთეულს: მხატვრული ლიტერატურას, მეთოდურ ლიტერატურას, ლიტერატურას პროფესიული პროგრამების განსახორციელებლად, გრიფირებულ სასკოლო სახელმძღვანელოებს და პერიოდიკას. ბიბლიოთეკა ფლობს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ყველა გრიფირებულ სახელმძღვანელოს კლასების მიხედვით. ყველა წიგნი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, შექმნილია საგნობრივი კატალოგი და აღრიცხულია საინვენტარო წიგნში, იწარმოება მკითხველთა რეგისტრაციის ბარათები. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სამუშაო გრაფიკი და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. წიგნადი ფონდი აღრიცხულია ელექტრონულად და განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე.

სკოლის ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ბიბლიოთეკის დებულებით;
- საინვენტარიზაციო წიგნით;
- ჩუქების ხელშეკრულებით;
- სასაქონლო ზედნადებებით.

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლაში არის ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის. მათთვის სკოლაში შესვლა და გადაადგილება შესაძლებელია პანდუსების მეშვეობით. სსსმ პირებისთვის ადაპტირებულია სველი წერტილი. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

შეფასება:

საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლებისათვის განსაზღვრულია 18 კომპიუტერი, ხოლო ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოიყენება 7 კომპიუტერი. სკოლა ფლობს 3 კომბაინს, 4 პრინტერს და 1 პროექტორს. საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას ასრულებს ვებ-გვერდი http://www.sameba.edu.ge.

ინტერნეტ ქსელით მომსახურებაზე ხელშეკრულება გაფორმებულია "სილქნეტთან". სკოლა ფლობს დომენისა და ჰოსტინგის დამადასტურებელ დოკუმენტაციას. დაწესებულება კომუნიკაციისათვის იყენებს ელექტრონულ ფოსტას info@libertyprof.ge.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- ვებ-გვერდით http://www.sameba.edu.ge;
- ელ-ფოსტით info@libertyprof.ge.;
- გადახდის ქვითრებით.

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

შეფასება:

სკოლის დირექტორის ბრძანებით N2/ს-49 დამტკიცებულია წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სკოლის ტერიტორიაზე განთავსებული იყო 3 ცეცხლმაქრი და საევაკუაციო გეგმები. ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ **ცეცხლმაქრების დატენვის ვადა გადიოდა 13 სექტემბერს.** ამ საკითხთან დაკავშირებით სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია.

დაწესებულებაში არის სამედიცინო ოთახი, შესაბამისი ატრიბუტიკით. სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელ პირთან დადებულია ხელშეკრულება .

სკოლაში წესრიგს და მოსწავლეთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის სპეციალისტის (მასთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება) და პედაგოგების მორიგეობის მეშვეობით. ამისათვის არსებობს დირექტორის მიერ დამტკიცებული პედაგოგთა მორიგეობის ცხრილი.

სკოლაში დამონტაჟებულია 2 გარე და 7 შიდა ხედვის, მათ შორის 2 კორიდორში და 5 საკლასო ოთახებში, უსაფრთხოების კამერა.

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- ვიზუალური დათვალიერებით;
- საევაკუაციო გეგმით;
- სამეთვალყურეო კამერების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- სასაქონლო ზედნადებებით.

2.7. სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

შეფასება:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მარეგულირებელი დუკუმენტები. დირექტორის მიერ დამტკიცებულია წესდება და შინაგანაწესი, რომელიც განხილულია შპს ,,ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიის" 2017 წლის 21 აგვისტოს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, ოქმი № 7 და დამტიცებულია დირექტორის 2017 წლის 21 აგვისტოს ბრძანებით № 2/ს – 73.
შინაგანაწესი მოიცავს შემდეგ ნაწილებს: ზოგადი დებულებები; შინაგანაწესის მოქმედების სფერო; თანამშრომელთა მიღებისა და დათხოვნის წესი; პროფესიული განათლების მასწავლებლების მიღების წესი ,,ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართულ აკადემიაში"; დაწესებულების სტრუქტურა; სასწავლებლის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები; ,,სასწავლებლის" სასკოლო ჟურნალის წარმოების წესი; სამუშაო დრო და შრომის ანაზღაურების პირობები; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვისა და დათხოვნის პირობები; პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა სასწავლებელში; მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა უფლებები და ვალდებულებები; წარმატების სტიმულირება ; პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, თანამშრომელთა სტიმულირება და სხვა.

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესით (დამტკიცებული დირექტორის მიერ 13 ივნისი 2016);
- შპს „ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართული აკადემიის" წესდებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

დაწესებულებას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი (2012-2018) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები (2017-2018). 2016-2017 სასწავლო წლის მუშაობის ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია ახალი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს სკოლის ამოცანების შესრულებას, მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებასა და გაუმჯობესებას, როგორც ზოგდსაგანმანათლებლო, ასევე პროფესიული მიმართულებით. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა 2017-2023 სასწავლო წლების სტრატეგიული გეგმის პროექტი **(დანართი N2).**

დასტურდება:

- 2016-2017 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით;
- 2012-2018 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმით.

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:

დაწესებულებაში მოქმედებს გამოცემული აქტებისა და კორესპონდეციის აღრიცხვის სისტემა. სკოლას შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების" დებულება (დირექტორის ბრძანება N2/ს-57), რომელიც განსაზღვრავს გამოცემული ან მომზადებული აქტების, ასევე შემოსული და გასული კორესპონდეციების აღრიცხვის, რეგისტრაციისა და ნუმერაციის წესს.

დაწესებულებაში არის საკადრო ბრძანებების, საერთო ბრძანებების, შემოსული დოკუმენტაციის, გასული დოკუმენტაციის, შრომის ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალები. სკოლაში ხორციელდება დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების, მოსწავლეთა მიღების, მოძრაობის, ატესტატების გაცემის, ცნობების გაცემის, პედაგოგიური საბჭოს სხდომების, კათედრების მუშაობის ოქმებისა და სხვა მიმდინარე პროცესების ამსახველი დოკუმენტების აღრიცხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

დასტურდება:

- ,,საქმისწარმოების" დებულებით (დირექტორის ბრძანება N2/ს-57);
- დირექტორის ბრძანებებით;
- შემოსულ და გასულ კორესპონდენციებით;
- ბრძანებების წიგნითა და სარეგისტრაციო ჟურნალით;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმების აღრიცხვის ჟურნალით.

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

შეფასება:

შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართულ აკადემიას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი.
ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი ემსახურება ორივე, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე, პროფესიულ მიმართულებას (დირექტორი, დირექტორის მოადგილე ზოგადსაგანმანათლებლო დარგში, დირექტორის მოადგილე პროფესიული სწავლების დარში, დირექტორის მოადგილე საორგანიზაციო აღმზრდელობით დარგში, განათლების ხარისხის განვითარების მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ფინანსური კონსულტანტი, მთავარი ბუღალტერი, მოლარე-ბუღალტერი, პროფესიული სწავლების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, პროფესიული სწავლების განყოფილების მდივანი-მეთოდისტი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი, სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირი, წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის თანამშრომელი, დამლაგებელი).

2017-2018 სასწავლო წელს სკოლაში დასაქმებულია 13 პედაგოგი, მათ შორის, რამდენიმეს შეთავსებული აქვს ადმინისტრაციული თანამდებობა. სკოლის ყველა თანამშრომლის კომპეტენცია შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

დაკავებულ თანამდებობას. თითოეულ მათგანთან დადებულია ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სკოლაში ამჟამად ირიცხება 70 მოსწავლე. მიმდინარეობს მეათე კლასის მოსწავლეთა მიღება.

დასტურდება:

- საათობრივი ბადით;
- საშტატო განრიგით;
- ხელშეკრულებებით;
- შინაგანაწესით;
- პედაგოგებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების პირადი საქმეებით;
- eSchool-ის ბაზის მონაცემებით;
- ადმინისტრაციასთან გასაუბრებით.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

შეფასება:

სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2017-2018 სასწავლო წელს მოქმედ მასწავლებელთა პირადი საქმეები მოიცავს ყველა საჭირო ჩამონათვალს, მათი განათლების დამადასტურებელი, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვა დოკუმენტების სახით, რაც მოითხოვება სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად.

ყველა მასწავლებლის განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

დასტურდება:

- გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- პედაგოგთა სერთიფიკატებით;
- ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;
- პირადი საქმეებით, დიპლომებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

შეფასება:

სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღების და გათავისუფლების წესები, სასწავლებლის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობანი, ასევე, წახალისებისა და სანქციების სისტემა, რომელიც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში (თავი - 3, 4, 11).
შემუშავებულია ასევე მოსწავლეთა მიღება/ჩარიცხვის და დათხოვნის პირობები, მათი უფლებები, ვალდებულებები და სტიმულირება. ყოველივე გაწერილია შინაგანაწესში (თავი - 9,10).

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესით;
- სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- ადმინისტრაციასთან გასაუბრებით.

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

შეფასება:

მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები სახელშეკრულებო ვადის, დაკავებული თანამდებობის, სახელფასო განაკვეთის, ჩატარებული სამუშაოს ანაზღაურების მითითებით.
ხელშეკრულებები, შინაარსობრივად, შესაბამისობაშია შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობასთან.

დასტურდება:

- გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- საშტატო განრიგით;
- მასწავლებელთა საქაღალდეებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- სკოლის შინაგანაწესით.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

შეფასება:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მოტივაციის ზრდის მიზნით სკოლის მასწავლებლები ჩართულნი არიან „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში". სკოლას ჰყავს ფასილიტატორები და შექმნილია სკოლის მასწავლებელთა შეფასების ჯგუფი. შექმნილია შეფასების ჯგუფის მუშაობის წესი, ხორციელდება მასწავლებლებისა და ფასილიტატორების მუშაობის მონიტორინგი.
სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომელთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობას. ამ მიზნით ტარდება სხვადასხვა ღონისძიება, თანამშრომლობენ საგნობრივი კათედრების პედაგოგები და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას.
სხვადასხვა კათედრის საგნობრივი ჯგუფების პედაგოგების შეხვედრების შესახებ ინფორმაცია ასახულია კათედრების პორტფოლიოებში. პორტფოლიოებში ასახულია ასევე კათედრებზე მასწავლებლების მიერ დამუშავებული მოხსენებები, რომელთა პრეზენტაციაც და განხილვაც განხორციელდა წარმატებით: „როგორ ვიმუშაოთ უყურადღებო, იმპულსურ და ჰიპერაქტიურ ბავშვებთან", „როგორ შევმატო დავალებას ინტერესი", „შემაჯამებელი დავალების შედეგების ანალიზის პრაქტიკა", „როგორ ვიმუშაოთ დამოუკიდებელი წერისას დაშვებულ შეცდომებზე", „ავთენტური მასალის გამოყენება უცხოური ენის გაკვეთილზე", „როგორ შევადგინოთ საგანმანათლებლო პროექტი" და სხვა.

დასტურდება:

- ხელშეკრულებებით;
- კათედრების ოქმებით;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმებით;
- სერთიფიკატებით;
- სხვადასხვა ღონისძიების ამსახველი დოკუმენტაციით;
- მასწავლებლებთან გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

შეფასება:

სკოლის მასწავლებლებთან და მშობლებთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.

მოსწავლეები პერიოდულად ჩართულნი არიან სხვადასხვა სახის ღონისძიების განხორციელების პროცესში. ისინი თანამშრომლობენ პროექტების განხორციელებისა და სხვადასხვა სახალისო ღონისძიების განხორციელების დროს.

კლასის დამრიგებლების პორტფოლიოებში წარმოდგენილია ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია და ფოტო მასალა: ინტელექტუალური ღონისძიება „მოგზაურობა ცოდნის სამყაროში", „ექსკურსიები და საუბრები" და სხვა, სადაც ჩანს მოსწავლეთა სრული ჩართულობა.

მშობლებმა გასაუბრების დროს სკოლის პედაგოგები და დირექცია დაახასიათეს დადებითად და აღნიშნეს მათი კეთილსინდისიერება, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა.

ვიზიტის პერიოდში დოკუმენტაციის შესწავლის, მასწავლებლებთან, მშობლებთან და დირექციასთან გასაუბრების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეები, უფრთხილდებიან სკოლის ქონებას, ერიდებიან კონფლიქტურ სიტუაციას, ახასიათებთ გუნდური მუშაობა და მუდმივი ურთიერთთანამშრომლობა.

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესით;
- სასკოლო ღონისძიებების ამსახველი მასალით;
- მასწავლებლებთან გასაუბრებით;
- ღონისძიებების ამსახველი ფოტო მასალებით;
- კლასის დამრიგებლების პორტფოლიოებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

IV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი N1 - შენობა-ნაგებობის შიდა საკადასტრო აზომვითი ნახაზი - სულ 1 (ერთი) ფურცელი;

დანართი N2 - 2017-2023 სასწავლო წლების სტრატეგიული გეგმის პროექტი - სულ ფურცელი

თბილისი **12 .09.2017**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.